რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакцію] „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. წვრილებისთვის ასოთა ასოზე მეოთხედი კაპ.

იუ ხელნაწერები შეითხრება, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებები მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.


მომავალ 1881 წელს

## დროება - ივერიის

### გამოცემაზედ

მომავალ 1881 წელს ყოველ-დღიური გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომელების დახმარებით, როგორც აქამდისინ გამოდიოდა. როგორც იმ თავიდგან, გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს, ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლების-და-გვარად, გაეკარგებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

„ივერია“ კი მომავალის წლიდამ გამოვა თთვე-და-თთვე, ე. ი. წელიწადში თორმეტი წიგნი, და ყოველ წიგნში იქნება არა-ნაკლებ 4 დიდის თაბახისა. რედაქცია იმედოვნებს, რომ ჟურნალი თავის დროსა და რიგზე გამოვა იმავე პროგრამმით, როგორც 1879 წელს გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში: „დროება-ივერიის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი და ჟურნალი: **Въ Тифлисъ. Въ редакцію Дроэба-Иверіи.**

ფასი:

| | 1 წლით | 6 თვით. | 3 თვით. |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ორივე ერთად — | 14 მან. | 8 მან. | 5 მან. |
| „დროება“ ცალკე — — — | 9 „ | 5 „ | 3 „ |
| „ივერია“ ცალკე — — — | 7 „ | 4 „ | 2 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება-ივერიისა“ { ილია ჭავჭავაძე, სერ. მესხი.

## ტელეგრამმები

(ჩრდილოეთის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 12 ნოემბ. ლორის-მელიქოვი გუშინ ლივადიაში წავიდა; შინაგან სამინისტროს გამგეობა დროებით კახანოვსა აქვს მინდობილი.

გაზ. „გოლოსს“ მოუვიდა ამბავი, რომ ქურთები თავრიზს მიუახლოვდნენ და ახლებას ემუქრებიანო. რუსის თავრიზელ ელჩს ბრძანება მოუვიდა მიატოვოს თავის ადგილი და ტფილისში წავიდეს.

**პეტერბურღის ბირჟა**, 11 ნოემბერს.

(„ჩრდილოეთ-მორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 95 | 50 |
| მეორესი — — — — — | 92 | 12 |
| მესამესი — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 90 | 37 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | 37 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 37 |
| ტფილისის სადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 218 | „ |
| მეორე სესხის — — — | 211 | 75 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 24 | 28 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 206 | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 256 | 25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## „მშაკის“ მეა პასუხი

(დასასრული)

„ქართველებს არა აქვსთო თავიანთი დამოუკიდებელი ეკლესია“?

ან ეს რა დიდი სასიქადულო რამ არის! მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მრთელი ტიბიკონი სომხის ეკლესიისა წარმოადგენს ბერძნის ტიბიკონსა ცოტა განსხვავებით. მრთელი საეკკლესიო ლოცვები, საგალობელნი, ქამნი, რვა-ხმანი, კურთხევანი, წირვის კონდაკი სულ ბერძნულითგან აქვსთ გადაღებულნი, ნათარგმნი, ან იმათ კილოზედ შედგენილნი... აქეთგან ცხადად სჩანს, რომ სომხის ეკლესია თავის თვისით დამოუკიდებელი ეკლესია არ ყოფილა, არამედ პირველად ბერძნის ეკლესიაზედ დამოკიდებული ყოფილა სხვებსავით და შემდგომ გადამდგარა, გარე გასულა!..

„უკეთუ სომხები არ ეცდებიან თავიანთ ენის დაცვას, არამედ ქართველებს ქართულად ელაპარაკებიან, თათრებს თათრულად... რამდენიც უნდა ეცადნონ თავიანთ სარწმუნოებას, დაკარგვენ თავიანთ გვაროვნებასა.“

ეს და ამისთანები, სწორე მოგახსენოთ, სათქმელადაც არა ღირს, რადგან უიმისოდაც ცხადი არის არა თუ მარტო სწავლულთა, არამედ უსწავლელთათვისაც!.. ვინ არ იცის, რომ კაცი სადაც დაიბადება, გაიზრდება და იცხოვრებს, იმისი სამშობლო, მამული ის არის? რა ქვეყანასაც სცხოვრობს, იმ ქვეყნის მცხოვრებთ ხელთ შემხედვარი არის: სულ პირველად იმ ქვეყნის ქუდი უნდა დაიხუროს; იმ ქვეყნის ენა, ჩვეულება,

„დროების“ ფელეტონი, 14 ნოემბ.

### თ. ლ. ი. მელიქოვი ბათუმში

(წერილი ბათუმლის ბეგისა)

ბებია ჩემი გურული აზნაურის მეგარკაცი ჭყონიას დაი იყო, რომელიც მოეტაცნათ გურულ ავაზაკებს და მოეყვანათ ჩაქვს. მაშინ ის ყოფილა თვრამეტი წლისა; უყიდნია ბაბუა ჩემს და შეურთავს ცოლათ.

ბევრი ცდილა ბაბუა ჩემი, მაგრამ ვერას გზით სარწმუნება იესო ქრისტესი ვერ დაუტიებინებია; რადგან ძალიან ლამაზი ყოფილა და უყვარდა, არც ბაბუა ჩემმა შეაწუხა და სიკვდილამდი ეკავა თავისი სარწმუნოება.

ორი წიგნი ქონდა ბებიას, ერთს „დავითს“ ეძახდა და მეორეს „მოციქულს“ და ყოველ დღეს კითხულობდა იმათ.

მახსოვს ბებია ჩემი იტყოდა: ერთი ლაზარე იყოვო, იესო ქრისტეს ძალიან უყვარდაო. ერთხელ იესო ქრისტეს მოახსენეს: შენი მეგობარი ლაზარე მოკვდაო. თქვა იესომ:—ლაზარემ დაიძინაო. ურიებმა სიცილი დაუწყესო,—როგორ დაიძინა, კაცი მოკვდაო!

იესო ქრისტე ნასადილევს წავიდა ლაზარეს საფლავზედ. ლაზარეს ორი დები ჰყავდა და ისინიც დაიბარა საფლავზედ. უთხრა იქ მყოფთა: ლაზარეს საფლავის კარი ახადეთო. მოახსენეს, რომ სამი დღეა დავმარხეთო და კარს როგორ ავხდითო. მაგრამ უბრძანა იესომ და ახადესო საფლავის კარიო. მაშინ დაუძახა ლაზარესო:—„ლაზარე, გამოდი გარეთო!“ იმ დროს იესო ქრისტეს ცრემლები გადმოსცვივნდა თვალიდამაო. ლაზარე კი სუდარით ადსდგა და გამოვიდა გარეთო.

იქ მყოფთა სთქვესო, რაისთვის სტირის იესო ქრისტეო? ეს მკვდარი ხომ ადადგინაო? ზოგმა სთქვა: ლაზარეს დები რომ ტიროდნენ, იმისთვის იტირაო, შეებრალა ისინიო, მაგრამ ეგ ასე არ იყოვო, ბებია იტყოდა. როდესაც იესომ დაუძახა—ლაზარე გამოდი გარეთაო, ეს ხმა ჯოჯოხეთში ადამს მოესმაო და ადამი გამხიარულდა და უთხრა იქ მყოფთაო: მე რომ მაცდუნა ევამ და დავიმალეო, ეს ხმა იმ ხმასა გავსო, ღმერთი რომ მიძახოდა სამოთხეშიო: „ადამ, ადამ, სადა ხარო?“ და ახა ჰა იქ მყოფთა, ეჰა, მოვიდა გამომხსნელი ჩვენიო! ეს იმათი სიხარული იესო ქრისტემ იგრძნო და გულში განიზრახაო: ჩემი გაჩენილი კაცი როგორ უნდა იტანჯებოდეს ეშმაკებიდგანაო!—ამისათვის ჩამოცვივნდა ცრემლებიო.

ეს ბებია ჩემის იგავი იმისთვის მოვიყვანე, რომ როდესაც მოვიდა აქ ამბავი თავადი მელიქოვი მობრძანდებაო, ყოველმა კაცმა ვთქვით: სწორეთ მოდის ჩვენი მხსნელი კაციო. ვიყავით ამ მოლოდებაში.

ბოლოს მობრძანდა. პირველად ჩურუქსუს ჩამოხტა, დაიბარა იქ მცხოვრებნი და ყოველივე გამოკითხა. ისე მიილო დიდი და პატარა, რომ ჯერ ამ ნაირი კაცური მიღება არ გვინახავს. სწორეთ დავრწმუნდით, რომ ნამდვილი ღვთიანი კაცი არის და ჩვენი გამომხსნელი იმ უბედურის მდგომარეობიდამ, რომელშიაც ჩვენ ვართ.

რიგი, კანონი უნდა ისწავლოს, რომ შეეძლოს ორგანი ცხოვრება და თუ თავის საგვარო ენასაც ისწავლის, მატყველ მოძმეებ არავინ არ ეყოლება, თუნდა ათი და ოცი ენაც სხვაცა ისწავლოს. რამდენიც მომეტებული ენა ეცოდინება, იმდენი დიდება და პატივია მისთვის!.. მაგრამ ერთმა ვინმემ რომ თავის თავ-ადებულობით თავის გვაროვნული ენა ადგილობრივს დედა სამშობლო ენაზედ რომ უპირატესად შერაცხოს და ძალა დააყენოს თავის მოგვარე კაცთა: „თქვენ საქართველოში მცხოვრებნო სომხებო, უთუოდ ყოველგან სომხურად უნდა ილაპარაკოთ, თუ სომხები ხართ და არა ქართულადაო!“ მე არ მესმის, რა ჭკუისა და მიმართულებისა უნდა იყოს იმ გვარი პირი?..

ყოველს თვითოეულ ენას თავის სამშობლო ადგილ-მამულში აქვს მოპოვებული მაღალი ღირსება, პატივი: ქართულსა საქართველოში, რუსულს რუსეთში, ფრანგულს საფრანგეთში და სომხურს სომხეთში. მარედ მიუცილებლად: როგორც თვითოეულს სახლის უფალს თავის სახლში ეპყრობა პირველი ადგილი და მის მერმე მასთან მოსულ სტუმრებსა, მტერი იყოს თუ მოყვარე, თავიანთ ღირსებისამებრ ექმნებათ მიჩნევა და მიღება.. თუ არა და რა თქმა არის: „ვინც სომხური იცის, სომეხია; ვინც არა და არაო?..“ მხოლოდ სიტყვა სწორედ ფანატიკურო წი-[illegible] ჩვენი თათრულად ლაპარაკობენ, თავიანთი სამშობლო ენა იმათ დროს განმავლობაში დაუკარგავთ; — მაგრამ განა ამით იმათ თავის გვარტომობა, თავის ქართველობა დაუკარგავთ? სულაც არა.

„არც ერთი ქართველი არ არის, რომ კათოლიკე სარწმუნოებისა იყოს, ყოველნი ნათესაობით და სახის მოხაზულობით სომხები არიან; მაგრამ ქართველებმა შეიძლეს იმათი გაქართველება ენის შემწყობითაო.“

ესეც მეტად ახირებული სიტყვის წამოსროლა! ნეტა მითხრათ: საქართველოში დიდი ხნის მოდმა დასახლებულ სომხების სახის მოხაზულობას ქართველებისთგან რით არჩევს ბ. ავტორი, რომ ასრე კადნიერად გაიძახის?! ჩვენ 30 წლის არზრუმიდგან გადმოსახლებულ სომხებს ახალგაზრდათ ჩვენ ქართველთ ახალგაზრდებისგან ველარც კი ვარჩევთ, რადგან მიწა, წყალი, საზრდელი და კლიმა საკვირველად სცვლის, და იმან 800 და 1000 წლის სომხების დაბინავებულ სახის მოხაზულობა რა იცის?.. ეს შეუძლებელია; რადგან მიწა-წყლის გარდა, უმრავლესნი ქართველებთან დამზახლებით ერთი ათად შეცვლილ არიან. მაგრამ ზოგიერთ გვაროვნული ზნე, ხასიათი, მიდრეკილება და ენის სიწამხდრე რომ ეთქვა, რომლითაც ირჩევიან ცხადად სომხები ქართველებისგან, შესაძლებელი იყო.

მაგრამ ჩვენს ახალციხელ ძირითად კათოლიკებში ვერც ქართული ენის სიწამხდრეს დაინახამთ, ვერც სხვა გვარ ზნე მიმართულებას და ვერც არა მისთანა თვისებას, რაც ეკუთვნის სომხის გვარსა. მე ახალციხელები იმისთვის მომყავს ფაქტად, რომ უდიდესი ნაწილი კავკასიის კათოლიკეთა ახალციხიდგან არიან, გარდა აზრუმიდგან გარდმოსახლებულთა და ზოგიერთთ სომხებითგან ჩამომავალთა...

ა) ისეთი წმიდა და მდიდარი ქართულია ახალციხისა და მის გარემო სოფლებისა, რომ იმერეთ-ქართლურს ქართულს ღირსებით არა თუ მარტო [illegible] სავლენო სახელოსნო უმრავლესის ლექსებითა.

ბ) ჩვენი განაყოფობა ადგილებრივნი თუ შორიელნი სულ მესხები და ქართველები არიან

გ) საეკკლესიო ძველს ჯავთაგებში ჩვენთ წინაპართა სულ ქართული გვარები არიან და სახელები: პაატა, ბოგია, მახარობელი, ოტია, ბლახა, ბელია, მახარა, ოქროპირა, ბექუც, მამაცა, ნადირა და სხვ.

დ) ზნე, ხასიათი, მიმართულება, ანდერძები და ყოველი ჩვენი პირობები ცხადად ამტკიცებენ ჩვენ ვინაობას.

ე) ისეთი ძველის-ძველი ზღაპრები, დაყვედრება და გალობა სიმღერები მოიპოვება ჩვენში კერპობის დროისა თუ ქრისტიანობისა, რომელიც ჩვენ ნამდვილ ქართველობას ამტკიცებს და რილათი-ღა ვიქმნებით ჩვენ სომხების მოდგმიდგან?.

და თუ სომხურს ტიბიკონს ხედვენ ჩვენში, ეგ იმისთვის რომ ოსმალების დევნულებაში ქრისტიანობის დაცვისათვის მეტი ღონე არ გვქონია, სომხის ტიბიკონში უნდა შევფარებულიყავით. ბერძნებსა, მათ ტიბიკონის მქონეთ და ზოგჯერ ლათინებსაც, ისე მტრობდნენ ოსმალოები, რომ იმათი სახელის გაგონება არც კი უნდოდათ, მეტადრე ბევრ ქართველთ მებატონეთა, მოქალაქეთა, ხელოსანთა თუ გლეხთა ძალადობით და ათას ჯურის მიზეზობით ამაჰმადიანებდნენ! მართლის ქრისტიანობაში ოსმალებისთვის სომხებისთანა კარგნი არავინ იყვნენ; რადგან დიდი მტერნი და გამცემნი იყვნენ ბერძნებისა, ევროპიელებისა და ქართველებისა. მით შადი-მაჰმადმა (კონსტანტინეპოლის ამღებმან) სომხები გაამრავლა და პატრიარხი დაუჯდინა ბერძნების სამტროდ და სხვათა; სომხობას მრავალგან მრავალი სამსახური მისცა იქამდის, რომ თითქმის მესამედი ნაწილნი იასაულთა და მოხელეთა სულ სომხები იყვნენ...

და თუ რაოდნად სიმართლე გვაქვს [illegible] ამით ვათავებ, კმარა დასამტკიცებლად ყველას გარდა ჩვენი მოძმე ველელები, კარტიკმელები, ბავრელები, ხულგუმოელები და ტ-ერცხელები, რომელნიც მივარდნილ ვ.ლის სოფელში დაშთენილ იყვნენ ბერძნის ტიბიკონით ქართველ კათოლიკედ ჩვენ დრომდის და 1844 რიცხვში გადმოვიდნენ ჩვენსავით სომხის ტიბიკონზედა... მაშასადამე სომხის ტიბიკონით ჩვენ მესხები — ქართველნი არას დროს სომხები არ გავხდებით, როგორც სლავიანები, რუსები და დანარჩენი ქართველები ბერძნის ტიბიკონით მის დღეში ბერძნები არ გახდებიან.

ვინმე მესხი.

ს. ხიზაბავრა, 28 ოქტომბ.

## ტფილისის ქალაქის რჩევის სხდომა

10 ნოემბერს.

თავსმჯდომარეობს სამძღვარ გარეთიდამ ახლად დაბრუნებული ქალაქის თავი ა. ს. მატინოვი.

წინანდელი სხდომის პროტოკოლის წაკითხვის შემდეგ, ხმოსანმა ლ. კ. ელიმირზოევმა შემოიტანა რჩევაში წინადადება, რომ, როგორც წარსულ სხდომაზედ ქალაქის თავის მოადგილემ სთქვაო და როგორც ჩვენც ვხედავთო, გაზ. „კავკაზში“ ხშირად შეცდარი ანგარიში იბეჭდება ჩვენი სხდომებისაო; ხშირად ისეთს რამეს მოგვაწერს ამ გაზეთის რეპორტიორიო, რომელიც ჩვენ არც გვითქვამს და არც გარდაგვიწყვეტიაო. ამის გამო, თუმცა მე ბეჭდვის უფლების შევიწროებას არა ვთხოულობ, მაგრამ კარგი იქნებაო, რომ ამ გარემოებას ყურადღება მივაქციოთ და ვეცადოთო, რომ ხსენებული გაზეთი ჩვენის ამომრჩევლების თვალში სახელს არ გვიტეხდენო.

თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ჩვენი სხდომების ნამდვილ და შეუცდომელ ანგარიშების დასაბეჭდად დიდი განზრახვა გვაქვსო, რომ საკუთარი გამოცემა (გაზეთივით) ვიქონიოთო და იმედია, რომ ეს განზრახვა მალე შევასრულოთო.

ხმოს. თ. კ. ა. ბებუთოვი-ს აზრით, თუ მართალია, რომ გაზ. „კავკაზი“ განგებ შეცდომით ანგარიშებს ჰბეჭდს ჩვენის სხდომებისას, ყველაზე უკეთესი საშუალება ის იქნება, რომ ეს შეცდომები ამ გაზეთისავე საშუალებით გავასწოროთ. ერთხელ-ორჯელ რომ ნამდვილი ანგარიშები მიუვა ამ გაზეთის რედაქციას, მაშინ ის, უეჭველია, რეპორტიორს გამოცვლის და ეცდება რომ უფრო სწორი ანგარიშები დაბეჭდოსო.

შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი ქა-

---

მაგრამ საუბედუროთ ჩვენის მხარისა, გაჩნდენ ისეთი პირები აქ მოსამსახურეთაგანი, რომელთაც გაავრცელეს ხალხში ხმა, რომ, თუ ვინმემ თანამდებობის პირზედ იჩივლეთო, ყველას დაგკარგვენო. თ. მელიქოვი წაბრძანდება, ეხლა იმათ ვერ გამოსცვლის და ისინი დარჩებიან და უარეს გონჯობას დაგმართებენო. ჩვენ ვიფიქრეთ — თუ ასე მოხდა, როგორ გავბედოთ ვინმეზე საჩივარი-მეთქი. მხოლოდ მოახსენა ხალხმა რაოდენიმე უბრალო თხოვნა.

შემდგომ ჩამობრძანდა ბათომში და ბათომიდამ აჭარაში წავიდა. ართვინში, ბორჩას, თუ სხვა სოფლებშიც ისე დააშინეს ხალხი და ამიტომ ვერაფერი თქმა გაბედეს თანამდებობის პირებზედ ქებისა მეტი.

იქედამ დაბრუნდა ბათომში ოც-და-ცხრა ოქტომბერს. ორი დღე კიდევ დარჩა ბათომში. ხალხი დაიბარა. აქაც ვერაფერი გაუბედა ხალხმა ნამდვილი საჩივარი, რადგან დაჰტრიალებდა აქაური მაზრის უფროსი. ჩვენ კი, ვინც ბეგები ვართ ან აღები, არ ვიც მიგვიშვა ბატონ მელიქოვთან, სანამ მისის წაბრძანების წინ დღეს თვითონ არ დაგვიბარა. ვიახელით და მიგვიღო როგორც მამა შვილს მიიღებს, ღმერთმან აკურთხოს. გაგვიკვირდა, ამ დიდმა კაცმა რა მდაბლად მოგვექცა და კარგა მიგვიღო. გვიბძანა:

— რა არის მიზეზი, რომ თქვენს სამშობლოს, მამულს, სახლ-კარს და ყოფა-ცხოვრებას სტოებთ და მიდიხართ სამზღვარ გარეთო? თუ რამ გაჭირება გაქვსთ, ნურაფერის მოგერიდებათ, მე მომახსენეთო? და სხვა კიდევ ბევრი კეთილი და გონიერი სიტყვები გვიბრძანა.

მაშინ მოვახსენეთ:

— ბატონო, ჩვენ ვერც მოსვლა გავბედეთ და ვერც რაც გვტკივა იმის მოხსენება აქამდის. და რადგანაც თქვენ გვიყავით მოწყალება და თვითონ დაგვიბარეთ და არც ახლა თქვენთან არავინ არ არის და მარტოთ ბრძანდებით, ყოველივეს გაგიბედავთ და მოგახსენებთ.

— ნურაფრის შიში ნუ გაქვსთო, გვიბრძანა, ყოველივე დაუფარავათ გამომიცხადეთო და მე თქვენს მდგომარეობას ვისიც რიგია მოვახსენებ და დაკმაყოფილდებითო.

მაშინ ადგა ერთი ჩვენგანი, რომლის სახელს არ მოგწერთ, და რომელსაც ჩვენის საზოგადოებიდან მინდობილი ქონდა მოხსენება ჩვენის მდგომარეობისა და მოახსენა:

— ბატონო! ჯერ ეს სთქვას კაცმა, აქაურმა მართებლობამ ან ხელმწიფის სასარგებლოთ რა გააკეთა ან რწმუნებულის მათის ხალხისთვის! აგერ ორი წელიწადი და ორი თვე ნახევარი არის. თავისთვის კი ბევრი და ბევრი სასარგებლო საქმეები ქნეს. წაგვართვეს მამულები, ააშენეს დიდი უშველებელი სახლები თუ სხვა-და-სხვა ბევრი მათთვის სასარგებლო წყაროები ამოიყვანეს. მივალთ, შესაბამათ არ მიგვიღებენ; ვითხოვთ რასმეს, ყურს არ გვიგდებენ, ისე გვიცქერენ, როგორც ძაღლებს ანუ რაიმე ცხოველს...

ამაზედ ბევრი კარგი იმედი და ნუგეში გვიბძანა.

ჩვენც კიდევ ბევრიც სხვაც რამეები ჩვენი გასაჭირი მოვახსენეთ და დაგვაიმედა შემდგომისათვის.

ლიქვს მედუქნეებისა და მიკიტნებისაგან შემოტანილი ქაღალდზე, რომლითაც ისინი საჩივარს აცხადებდნენ იმ რჩევის გარდაწყვეტილებაზე (24 ნოემბ. 1879 წ.), რომლითაც ქალაქში დუქნებისა და სამიკიტნოების რიცხვი უნდა შემცირდეს ისე, რომ 200-ზე მეტი არ უნდა იქნეს. მომჩივრები ამტკიცებდნენ, რომ, თუ მართლა ეს გარდაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს დუქნებისა (ხარჩოხანების) და სამიკიტნოების რიცხვი შემცირდა, ჯერ ერთი რომ ამათში მოსამსახურე ხალხი თითქმის ულუკმაპუროთ დარჩებაო, რადგან ამათი ხელობა ეს არისო, და მეორეც, რომ ქალაქის ღარიბ ხალხს, რომელიც ამ დუქნებში სჭამს პურს, ერთობ გაუჭირდება ცხოვრებაო. ამის გამო ისინი თხოულობდნენ, რომ, ხუთის წლის ვადით მაინც ნუ შეამცირებენ დუქნებისა და სამიკიტნოების რიცხვს, რამდენიც ახლა არის (361), იმდენი დარჩესო.

ამ საგნის შესახებ რამდენიმე ხმოსანთა ილაპარაკეს და საერთოდ ყველასი აზრი ის იყო, რომ, მართლა, ამ დუქნებისა და სამიკიტნოების შემცირება ღარიბ ხალხს უიმისოთაც გაჭირებულ ცხოვრებას კიდევ უფრო გაუჭირვებს, ჩვენში ხალხი ისეთი ლოთი და არაყის მოყვარული არ არის, როგორც ზოგიერთი სხვა ხალხებია, თუ ავაზაკობისა და ცუდ-კაცობის მოსპობა გვინდა, ამ დუქნებისა და სამიკიტნოების დახურვა კი არ უნდაო, არამედ იმ უანგარიში სამხიარულო ბაღებისაო, რომელიც, მაგ., მიხაილოვის ქუჩაზე, მუშტაიდისაკენ, არიან გამართული, სადაც ყოველ-გვარი საძაგლობა და გარყვნილობა ჰფუფქვსო და სხვ. და სხვ.

ყველა ამ მოსაზრებით, ქალაქის რჩევამ შეიწყნარა მედუქნეების თხოვნა და გარდაწყვიტა, რომ ხუთის წლის განმავალობაში დუქნებისა და სამიკიტნოების რიცხვი არ შემცირდეს.

შემდეგ განცხარებული ბაასი ასტყდა ხმოს. ალადათოვის წინადადების შესახებ, რომ ნატ. შიოევის სახლებს დასაფასებელი ფასი, ათას მანეთზე მეტი გარდახდეს ქალაქის ხაზინის სასარგებლოთო. მიცვალებულის შიოევის ქვრივის ანდერძი ისეთ ნაირად არის დაწერილი, რომ შესამჩნევლად არ ეტყობა — იმის ნაანდერძევ ქონებას ქალაქი ოდესმე მიიღებს თუ არაო; ამის გამო, სანამ ეს გადაწყდებოდეს, რად უნდა ჰკარგავდეს ქალაქი მუდამ წლიწადს იმის სახლების შემოსავალს 1000 მან. მომეტებულსაო.

თავსმჯდომარეს უკვირს, რადა მარტო ამ შიოევის მამულზე ლაპარაკობს ბ. ალადათოვი; ქალაქის ხაზინაში სხვა უძრავ მამულებისგანაც 200 ათას მანეთამდინ არის შემოსავალი, რატომ ამ „ნილომკაზედ“ კი არას ამბობთო?

ხმოს. ს. ზ. ზარაფიშვილმა სთქვა: თუ შიოევის ანდერძის აღმსრულებლებმა დოკუმენტი ვალი 12 ათასი მან. გარდაიხადეს, ქალაქის ვალის გარდახდაც შეეძლოთო.

ხმოს. აზგ. თუმანიშვილის აზრით, ეს საქმე ერთობ დახლართულია, რადგან ქალაქის გამგეობის წევრი (ა. ა. თამამშევი) და შიოევის ანდერძის აღმსრულებელი ერთი-და-იგივე პირია.

თავსმჯდომარემ სთქვა, რომ ამ საგნის განხილვა პეტერბურღის ადვოკატებს მივანდეთ და სანამ იმათგან პასუხი არ მოვა, ნურას გადასწყვეტთო.

რჩევამ გარდაწყვიტა, რომ მოიცადოს იმ დრომდინ, სანამ შიოევის ანდერძის შესახებ ქალაქის გამგეობა თავის აზრს წარმოადგენს.

## ახალი ამბავი

ჩვენ გვაცნობებენ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კომიტეტს მოსვლია ამ დღეებში სურამიდამ 50 მან; რომელიც დარჩენილა ამასწინათ იქ გამართულს ქართულ წარმოდგენიდამ. ეს ფულები საზოგადოებამ საკუთრივ იმ სკოლისათვის უნდა მოიხმაროს, რომელიც სურამში გაიხსნება.

* * *

ბერიძეს გარდა, მეორე ახალ-გაზრდა მხატვარი გვეზრდება ამ ჟამად: ეს არის ალექსი მირიანაშვილი — ალექსანდროვის სამასწავლო ინსტიტუტის შეგირდი, რომლისაც რამდენიმე ნახატი კალმითა ვნახეთ და ძლიერაც მოგვეწონა. სხვა თა შორის, ამ ყმაწვილს ამ ბოლო დროს რუსის პოეტის პუშკინის სურათი გარდმოუღია; მცოდნე პირები ამტკიცებენ, რომ ამ სურათის დამხატველს, უეჭველია, ნიჭი აქვსო და ცოდვა არისო, რომ ეს ნიჭი შეუმუშავებლად და უყურადღებოდ გაფუჭდესო.

* * *

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, კავკასიის უმაღლეს მთავრობამ სახელმწიფო რჩევაში წარადგინა თავის აზრიო, რომ მომავალი 1881 წლის 1 იანვრიდამ კავკასიაში სახალხო სკოლების დირექტორების თანაშემწის თანამდებობა და ამათ ნაცვლად დაწესდეს ინსპექტორები ამ სკოლებისა, რომელთაც წელიწადში 2,000 მან. ჯამაგირი ექნებათო — (თანაშემწეებს კი 1,300 მან. ჯამაგირი ჰქონდათ).

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის ერთს წინანდელს ნომერში წავიკითხე, რომ ქუთაისის სააზნაურო სკოლაში მიუღიათ ორი ყმაწვილი ლეჩხუმის მაზრიდამ. ეს ცნობა ჩვენთვის მეტად სასიამოვნო იყო, რადგან სწავლა და განათლება ერთობ ნაკლებად არის ლეჩხუმში.

მაგრამ მე კი ძალიან შიშში ვარ, რომ, როცა გაიგებენ, რომ იმ სკოლაშიდ პირველად ისწავლიან ქართულ ენაზედ ყველაფერს, გამოიყვანებენ ისევე და სახლშიდ წაიყვანებენ, რადგან არიან ისეთი უგუნურები, რომელნიც ამბობენ, ქართული სახლშიაც ისწავლაო, და აქ ტყუილა არ გავსწევ ხარჯსო. *) ჩვენში თუ კი გამოჩნდება [illegible], დიდ ნასწავლ კაცს დაუძახებენ.

რაც იქვია, სამწუხაროა ასე ბნელაში ყოფნა საზოგადოებისა. მაგრამ რა გაეწყობა: ბევრი ჩვენი ბრალია და ბევრი სხვა გარემოებებისაცა მიეწერება.

მაგრამ სწავლას თავი გავანებოთ, რადგან თითო-ოროლა სასოფლო სკოლა მაინც არის ჩვენში, თუმცა კი მასწავლებლები არ არიან და რომელიც არის, იმათაც არაფერი არ იციან და სხვას რაღუნდა ასწავლონ! საზოგადოთ ლეჩხუმის მაზრა დავიწყებულია და გამორიცხული ყველა მაზრაში. მაგალითებრ: ღმერთმა დაგიფაროსთ აქ ავად გახდომა, როდესაც ვერც ექიმს და ვერც წამალს ვერ იშოვნით. თუმცა ქინას კი იშოვნით ვაჭრებში, მეწვრილმანეებში, მაგრამ ნახევარზედ მეტი ყირიმული ბუროთ ურევია და არაფერი სარგებლობას არ მოუტანს ციებით ავათმყოფს.

ბ. ქუთაისის ღუბერნატორს კი ვსთხოვეთ რამდენჯერმე გვიშუამდგომლოს უმაღლეს მართებლობასთან ექიმის მოცემა, როგორც სხვა მაზრაში არიან, მაგრამ ჯერ კი არაფერი გვეშველა და შემდეგში ვნახოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, უმაღლესს მართებლობამდის თუ მიაწია ჩვენმა საჭიროებამ, შეიწყნარებს ჩვენს თხოვნას. რასაკვირველია, ისე ახლოს რომ ვიყვნეთ ქუთაისზედ, როგორც მაგ. სენაკი, და იმისთანა საშვალობა იყოს მისვლის და მოსვლის ქუთაისში, მაშინ არაფრათ ჩავაგდებთ ამ ნაკლულევანებას; მაგრამ წარმოადგინეთ ლეჩხუმიდამ ცხენით მგზავრობა ქუთაისში ზამთარში. ავათმყოფი ვეღარ ჩააწევს და კარგათ მყოფიც ავათ გახდება ქუთაისს ჩასვლამდის. ამიტომ ვინც ჩვენში ავად გახდება, ხშირად მოუვლელობით, უსაშვალობით და უწამლობით მოკვდება.

ა. გელოვანი.

ოდესსა, 3 ნოემბერს.

*) არა გვგონია, ამ ჟამად ისეთი გონება-დამახინჯებული ქართველი აღმოჩნდეს ჩვენში, რომელმაც სთქვას, რომ ქართულ ენას ნუ ასწავლით ჩემს შვილსო. რედ.

---

ბევრის ლაპარაკის შემდგომ ავდექით და მოვახსენეთ:

— ბატონო, თუ საშველი არა გვაქვს რამე, უკანასკნელი ჩვენი თხოვნა ეს არის: ან თქვენს წაბრძანებამდინ ციმბირში გაგვაგზავნეთ, ან ჩაგვყარეთ გემში, გაგვისტუმრეთ ოსმალოში, და ან დაგვტევეთ ყოჩაღათ!..

გაიღიმა და გვიბრძანა:

— ნუ გეშინიათ, ყოჩაღათ დაგტიებთო!

მადლობა მოვახსენეთ და გამოვედით გარეთ...

ორს ამ თვეს ბატონი მელიქოვი წაბრძანდა. აქ გავარდა ხმა, რომ არაფერი მიზეზი არ არის ჩვენი გადასახლება რაღაც ფანატიკოს ეძახიან, იმის გარდაო. გამოვიკითხეთ — რა არის ფანატიკოზი-მეთქი? აგვიხსნეს, სარწმუნოების სიმტკიცეო. ვინა ვისაც სარწმუნოება მტკიცეთ აქვს, თვის სამშობლოს ღალატობს და დასტიებს? ვინა ჩვენ არ ვიცით, დიდის რუსეთის ხელმწიფის ხელში თუ რამდენი სხვა-და-სხვა სარწმუნოების ხალხია, ვის შეუშალოს რჯული, ვინ დასაჯა, რომ ქრისტიანი იყო იმისთვის, ან ვის წაართვა ადგილ-მამული, თუ ჩემი სარწმუნოება არ დაიკავეო!..

ვინც ამას ფიქრობს, ან ლაპარაკობს, შემცდარია და იმან არ იცის ჩვენი მდგომარეობა, ან იგი მტერია ჩვენი.

ნება მომეცით, გკითხოთ განათლებულთ და დაწინაურებულთ ქართველებს, რუსებს, სომხებს და ფრანგებს, რას იზამთ თქვენ ჩვენს ადგილზედ თქვენმა ადგილობითმა მთავრობამ ადგილ-მამული რომ წაგართვას, და იმან თავისთვის სახლები ააშენოს, ნაცვლად თვისის თანამდებობის აღსრულებისა, ფოდრათები იმან დაიკავოს, და მაშინები გამართოს სახერხავი თუ სხვა რამეებისა, და მხოლოთ იმაზედ ქონდეს ზრუნვა, მიხვიდეთ და უპატიურად მოგეკიდოს, ქალაქში მეფურნეებს აუკრძალოს პურის ცხობა და თვითონ ფურნები გააკეთოს, აცხობინოს პური და სხვას ნება არ მისცეს პურის ცხობის და გაყიდვისა, — ყასაბს ერთს მისცეს ნება პირუტყვის დაკვლისა და სხვას არა, სოფლებში გახსნას ზაოდები, მუქთათ ყურძენი გამოართვას მცხოვრებს და ღვინოები აკეთოს და ჰყიდოს, — საუნამუსო სახლი ეკკლესიების გვერდით და საჩინო ადგილზედ დააწესოს?..

მოხოვთ მომიგოთ პასუხი, თუ როგორ მოიქცევით ამ შემთხვევაში? თხოვნა თუ არ გვიგვათ, საშველი რომ დაგადგესთ, დარჩებით თქვენს მამულზედ? მე ვფიქრობ, რომ თქვენ უარესს იზამთ და მარტო თავის სამშობლოს დატევებას არ დასჯერდებით.

იქნება კიდევ გამოჩნდეს ვინმე და სთქვას: ეს ასე არ იქნებაო! მაგრამ, მგონია, მთელი ხალხი არასოდეს ისე უგუნური არ იქნება, რომ სამუდამოთ თავი დაიღუპოს და დაიკარგოს თუ იმას დიდი რამ გაჭირვება არ აქვს. მითხარით, რომელი გიჟი იქნება, რომ სამშობლო ქვეყანა დასტიოს და წავიდეს ისეთ ქვეყანაში, სადაც იმას მოელის ყოველი უბედურება: შიმშილი, სიცივე, უსახლ-კარობა, უთვისტომობა, უცნობლობა და გამოუსვლელობა სამუდამოთ ღარიბის მდგომარეობიდგან.

მგონია, ვერ მეტყვით ამ ნაირს ხალხსა და არც არსად არის.

იმედი მაქვს, ბატონი მელიქოვი, როგორც სიმედო პირი ხელმწიფისა, მისგან მოცემულს სიტყვას აგვისრულებს: „ყოჩაღათ დაგტიებთო.“

ერთი მათგანი.

7 ნოემბერი, ბათუმი.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ავსტრიის ნამდვილ-კონსტიტუციონალების დასის კრებას ამას წინედ შემდეგი გარდაწყვეტილება მიუღია: 1) ნემცების და ავსტრიის მთელი სახელმწიფოის ინტერესისათვის წინააღმდეგობა გაეწიოს ყოველივე ცდას საგვარტომო დასაცალკევებლად; 2) და ყოველივე ნემეცი თავის საგვარტომო და მამულის-მოყვარულობის ვალდებულად ჰთვლიდესო ნემეცური სკოლის დახმარებას. ბ. შმეიკალი ამტკიცებდა, რომ სამინისტრო ჩუმ-ჩუმად ხელს უწყობს იმპერიის სხვა გვარტომობათაო, რომელთ საგანი დათანასწორების წრეს სცილდება და სახელმწიფოის სიმტკიცეს და კავშირს ემუქრებაო. შემდეგ შმეიკალმა განმარტა, მისი აზრით, რა ვნებას მოუტანს ავსტრიას თუ მისს ქვეშევრდომს ყოველ გვარტომობას თავისი გამგეობა მიენიჭა.

ნემცების მეორე დასს—კონსერვატორების ას გაუკიცხავთ ზემოხსენებული დასის გარდაწყვეტილება და ჩეხების და პოლაკების დეპუტატებთან აპირობენ შეერთებას, რომ ამ რიგად უფრო საიმედოთ შეებან ნამდვილ-კონსტიტუციონალების შემცდარს აზრებს.

—

საფრანგეთის დეპუტატთა პალატი შედგომია სასამართლოების თაობაზე წარმოდგენილ კანონ-პროექტების განხილვას.

—

საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ქუმუნდუროსი ცდილობს ბოლგარიის და საბერძნეთის შორის მტკიცე ზავი შეჰკრას, რომ ამ ორმა სახელმწიფომ ერთად გაუსწორონ ოსმალეთს ანგარიში.


# განცხადებანი

—

**თფილისის სავაჟო გიმნაზიის** მთავრობა ამით აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის პანსიონში დაცლილა ორი სახელმწიფო ხარჯის ადგილი (ვაკანსია) ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთ შვილთათვის. ამ ადგილზედ გამოიწვევიან შემდეგი მორიგი კანდიდატები:

1) გიორგი ტატიშვილი, ძე ქვრივის აზნ. ეკატერინე ტატიშვილისა, რომელიც გორის მაზრის სოფ. შველეთში სცხოვრობს და

2) გაბრიელ რატიშვილი აზნაურის დავით შალვასძის რატიშვილის შვილი, დუშეთის მაზრის სოფ. ქსოვრისში მცხოვრებისა.

ვინიცობაა გამოწვეულნი ემაწვილები შეუწყნარებელის მიზეზის გამო ექზამენზე არ გამოცხადდებიან სამი თვის განმავლობაში, მაშინ მათ ეკარგებათ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე შესვლის უფლება.

(3—1)

**ოქრო-ვერცხლის ნივთების გასყიდვა ჯანჯულაზოვის მაღაზიაში,** კონკურსის უპრავლენიის განკარგულებით, დანიშნულია ამ **ნოემბრის** 16-ს, კვირას, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ.

(4—2)

გამოვიდა ცალკე წიგნად და ისყიდება

## პეპო

**თხზულება გაბრ. სუნდუკიანცისა**
ავტორისგანვე ქართულად ნათარგმნი.

**ისყიდება:** შავერდოვის სააგენტოში (ბულვარზე), ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში (არწრუნის ქარვასლაში) და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ზუბალოვის შენობაში, ხიდთან.)

**ფასი 40 კაპ.**

(5—4)

„პირუტყვთა დამცველი თფილისის საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ საწევრო ხვედრი ფული წარადგინონ საზოგადოების ხაზინადართან ბატ. ქასუმოვთან იმის სავაჭრო სახლში, ერევნის მეიდანზე, **ჯაყელის სახლში.** ვინც ამ ნოემბრის 20-მდინ ფულს არ შემოიტანს წევრობიდგან გამორიცხული იქნება.

5—4

ტფილისში

## შავერდოვის გაზეთის სააგენტო

(გოლოვინის პროსპექტი, ალექსანდროვის ბაღთან, შავერდოვის პავილიონში.)

**დაიწყო ხელის-მოწერის დრო 1881 წლისათვის**

ყველა დრო-გამოშვებითი გამოცემაებზე რედაქციისგან გამოცხადებულ ფასებით: ადგილობრივზე, რუსულზე და სამზღვარ—გარეთისაზე.

ბ.ბ. ქალაქ გარეშე მცხოვრებელთ ამ ადრესით უნდა ინებონ მომართვა: **Въ Тифлисъ, въ газетное агентство В. Шавердова.**

(25—4)

ინგლისის მაღაზიაში

**თმის ამყვანი**  **მაკ-მასტერი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(150—6)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ წვენი ნაი—1 მ. 10 კ. მახლობი ნაიხ—1 მ. 40 კ

— — —1—20 — —1—60
— — —1—40 — —1—80
— — —1—60 — —2— „
— — —1—80 — —2—50
საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—52)

**ჯანჯულაზოვების მაღაზიაში**

გაისყიდება ნარდათ და ნაწილ-ნაწილად, უტორგოთ, 120 ფუთი ყავა, ჩაის ქაღალდი, 14 წიგნი და ვოდკები: პაპოვისა და შტრიტერისა 40 იასჩიკი, პრობკები 20 ფუთამდინ, შამპანის ღვინო სამზღვარ გარეთისა და რუსეთისა. ჩაი იასჩიკებით 18 ფუთიანი, აგრეთვე სხვა და სხვა ფეხსაცმელები და კალოშები.

ვისაც ამ საქონლის ნარდათ ანუ ნაწილ-ნაწილად ყიდვა ჰსურს, ნახვა საქონლისა შეუძლიან მუდამ დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ, ყოველ მყიდველს შეუძლიან მიჰმართოს კონკურსის წევრებს, რომელნიც გასყიდვის დროს მაღაზიაში იმყოფებიან.

(6—2)

**მომავალის 1881 წლის პირველის იანვრიდამ გამოვა ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური ჟურნალი**

## „მიმოხილვა“

პროგრამმა ამ ჟურნალისა: ბელლეტრისტიკა, ისტორია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, შინაური მიმოხილვა და პოლიტიკა.

გამოვა თვეში ერთხელ შვიდი თაბახიდამ ათამდის.

ფასი ჟურნალისა წელიწადში რვა მანეთი; ნახევარი წლისა ოთხი-და-ათი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში ჩარკვიანის და ამ წიგნის მაღაზიაში, ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაში **№ 1** და 2 და თვით რედაქციაში გიორგიევის ქუჩაზე, არჯევანიძის სახლებში, **№ 11.**

გარეშე ხელის-მომწერნი მოჰმართვენ რედაქციას ამ ადრესით: **Въ Тифлисъ, въ книжный магазинъ Гр. Чарквіани.**

რედაქტორი და გამომცემელი
**ნინო გაგაშვილი.**

(5—4)

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ-მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მაეთად ღირს.

(100—68)

**ახალგაზდა კაცი, მცოდნე ორზომა-იტალიანური ბუხგალტერიისა** მსურველია იმეცადინოს სადილს შემდეგ საკუთარს კანტორაშიაცა. ამასთანავე აძლევს გაკვეთილებს, როგორც ბუხგალტერიის ნაწილისა ისე ყოველივე საგნებში პროგიმნაზიის კურსისა.

იკითხოს: 5 უჩასტკაში სურპნიშნის ქუჩა საკუთარ სახლებში, № 17-ში **იაკობ ტერ-აკოფოვი.** 5—5

**პატენტიანი შხოტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და გედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—79)

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით

**პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოს ეფენდისთან**

თხზულება ს. ბეგიაშვილისა
ფასი 70 კაპ.

10—8

**ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.**

(20—18)


**Дозволено цензурою. Тифлисъ 12 Ноября 1880 г. Типографія Меликова** გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.